4631/3-62/22 2 25052022

4631/3-62/22
25-05-2022

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

ბატონ ვახტანგ გომელაურს

ბატონო ვახტანგ,

ბოლო დროს გახშირდა ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები, ამასთან დაკავშირებით, გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის საფუძველზე მოგვაწოდოთ დეტალური ინფორმაცია:

1. 2017 წლიდან დღემდე რამდენი საქმე აღიძრა სისხლის სამართლის კოდექსის 206^1 მუხლით და კონკრეტულად რა შედეგით დასრულდა აღნიშნული საქმეები. გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების მიხედვით.

2. 2017 წლიდან დღემდე რამდენი საქმე აღიძრა სისხლის სამართლის კოდექსის 151^1 მუხლით და კონკრეტულად რა შედეგით დასრულდა აღნიშნული საქმეები. გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების მიხედვით.

3. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ფემიციდის შემთხვევების დეტალური სტატისტიკა 2017 წლიდან დღემდე.

გთხოვთ, ჩემს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია მომაწოდოთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადებში.

წინასწარ გიხდით მადლობას,

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
პაატა მანჯგალაძე